სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/107

ქ. თბილისი 6 ივნისი 2025 წ.

საქართველოს ტექნიკური ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის სტრუქტურული რეორგანიზაციის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანის, ლიანა თარგამაძის 2025 წლის 05 ივნისის MES 1 25 0000630190 სამსახურებრივი ბარათის, ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმის (05.06.25 №5) და აკადემიური საბჭოს 2025 წლის 6 ივნისის №01-05-02/14 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. გაერთიანდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტზე არსებული ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიის და სასურსათო პროდუქტების წარმოების ინჟინერიის აკადემიური დეპარტამენტები და მათ ბაზაზე ჩამოყალიბდეს ქიმიური, ბიოლოგიური და სასურსათო ტექნოლოგიების აკადემიური დეპარტამენტი.
2. მოწონებული იქნეს ფაკულტეტის სტრუქტურულ რეორგანიზაციასთან დაკავშირებით წარმოდგენილი ცვლილებები ფაკულტეტის საშტატო განრიგში და დებულებაში.
3. დადგენილება დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს).
4. დადგენილება ძალაშია 2025/2026 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან.
5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**